# სახალხო გაზეთი

№ 906 ხუთშაბათი, 30 მაისი 1913 წ. № 906

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ყარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **5 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**რედაქციის კანტორა ღიაა** ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.-დე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ გორში გარდაიცვალა

**არსენ ივანეს ძე კალანდაძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გულმოკლული მეუღლე მისი **სემირამიდა გაბრიელის ასული კალანდაძისა** შვილებითურთ. გამოსვენება მოხდება 30 მაისს, გორის საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა ამავე დღეს გორის საერთო სასაფლაოზე. 1230

ღრმად შეწუხებულნი: **მეუღლე ნინო ლაზარეს-ასული, შვილები: ნიკოლოზ, ივანე და დარია და რძალი ანნა გაბრიელის-ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**ივანე ივანეს ძის მაისურაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან **დღეს, 30 მაისს,** დილის 10 საათზე, ნიკოლოზის ეკლესიაში, რიყის ქუჩაზე დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 318


— 1912/13 წ. სეზონის დამთავრება. —

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**პარასკევს, 31 მაისს,** სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრე 1912/13 წ. სეზონის დასამთავრებლად წარმოადგენს პირველად სახ. სახ. სცენაზე პოლ. ჟეროლის 2 მოქ. დრამას

**სისხლის ლაქა**

2) დამს. მსახ. ქ-ნ **ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით ა. ცაგარლის კომედიას: **რაც გინახავს, ვეღარ ნახავ** 2 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: **ც. ამირეჯიბი,** ს. ანკარა, მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ა. კახელი, ბ. კორინთელი, **პიერეტტა,** ყიჩიშვილი, მ. ქართველიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ამბ. ივერიელი, ა. კაკაბაძე, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, რ. სალიყაია, ილ. ზურაბიშვილი, ს. როშანიშვილი, ალ. შანშიევი, მ. ჭიაურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. გ. ჯაბაური. ძდგილ. ფასი 5—50 კ. ბილეთ. კასა ღიაა ყ.-დღე დილის 12—2 ს. სად. 6—8 ს. **დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს.** 1160. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშ. **ნ. ჭანკვეტაძე.** ქართ. სახ. წ. მმართ. წ. იდ.

**ახალი კლუბი**

**(საზაფხულო სადგომი)**

**ხუთშაბათს, 30 მაისს,** ქართული დრამატიული დასის მსახიობთა მიერ წარმოდგ. იქნება:

**ტაინი სოვეტნიკის სიზმარი,** **პოლიტიკური ბუფონადა** 1 მ.

II) **ახირებულია,** მხიარული ვოდვ. 1 მოქ. ნ. ყიფიანისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ქიქოძისა და ქილორჯიშვილისა და ბ-ნნი: გუნია, მესხი, იმხნელი, მგალობლიშვილი, ციციშვილი, ბერიშვილი და სხ.

**თეატ. ის დარბაზში წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.**

წარმოდგენის შემდეგ **ც ე კ ვ ა.** **დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.**

1235 **დასაწყისი საღ. 8-ნახ. ს.**

დღეს 30, და ხვალ 31 მაისს, მუშტაიდის ბაღში

გაიმართება **დიდი სეირნობა**

დიდუბის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

**შ ე ს ვ ლ ა უ ფ ა ს ო ა.** 320


## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების მორიგი კრება

**შაბათს, 1 ივნისს,**

თავად-აზნ. სადეპუტატო საკრებ. დარბაზში, (ბელინსკის ქუჩ. სახ. № 2), **სერგეი გორგაძე** წაიკითხავს რეფერატს:

**„ქართულ ენაში სტილის ძირითადი პრინციპი".**

დასაწყისი საღამოს 8 ს.


## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

**ილია ჭავჭავაძე:**

კაცია ადამიანი? . . . . . . . . 20 კ.
გლახის ნაამბობი . . . . . . . . 20—
ოთარაანთ ქვრივი . . . . . . . . 18—
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი . . . . 3—
სახრჩობელაზე . . . . . . . . 5—
მგზავრის წერილები . . . . . . . 7—
გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები . . . . . . 7—
უცნაური ამბავი . . . . . . . . 4—
რჩეული ლექსები . . . . . . . . 7—
განდეგილი . . . . . . . . 5—
კაკო ყაჩაღი . . . . . . . . 5—
დედა და შვილი . . . . . . . . 3—
დიმიტრი თავდადებული . . . . . . 7—
აი ისტორია . . . . . . . . 35 კ.
ცხოვრება და კანონი . . . . . . 25—
კრიტიკული წერილები . . . . . . 25—
პოლემიკური წერილები . . . . . . 10—

**ახლად მიღებული წიგნები:**

შიო მღვიმის სამი სიგელი სარ. კაკაბაძისა . . . . . . . 40 კ.
ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი . 30—
სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ. შიო მღვ. დაწერ. 15—
მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—1448 წ. გიორგი IX-ს მიერ ბოძებული . . . . . . . 10—

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

ექ. პ. დ. ლამბაშიძის **სანატორიუმი** და საზაფხულო სამყოფი **პატარა-ცემი**

**გ ა ი ხ ს ნ ე ბ ა 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.**

**მისამართი ფოსტით:** ტფილისი, ექ. პ. დ. ლამბაშიძეს. 299

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და ს. შობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულბ | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606" და ,,914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახპისოვი.** ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**არღუთინსკი,** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
**ა. ხუდობაშევი.** ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 2—3 ს.
**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
**ვესელოვზოროვი** სადოსტაქრო ყოველ დღე 3 4 საათ.
**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ. შაბ. და კვირ. 4—5 ს.
**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
**ბალდოევი.** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.
**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.
**ნაიდანოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
**ნოვიცკი.** ქალური და საბებიო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.
**ტ. ი. რუდენკო.** შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
**ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა 11½—12½ საათ.
**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1½ 2½ ს.
**სუროვცოვი.** შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანილიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. **„Wasserman"**-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

**დოქტორი მედიცინისა**

## გ. გ. მეგრაბიანცი,

**კისლოვოდსკში წავიდა**

ავადმყოფებს მიიღებს: კოლოსოვას სასტუმროში, („ნარზანი"-ს გალერეის პირდაპირ).

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.
**გ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.** ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით** 1053

**კ ბ ი ლ ი ს ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვ. ვრ."-ში ნაციონალისტთა ცნობილი ლიდერი სავენკო ჰბეჭდავს წერილებს, რომელთაც ოპოზიციონურ პრესის ყურადღება დაიმსახურეს. სავენკო საჭიროდ სთვლის სათათბიროში უმრავლესობის შედგენას, რათა შესაძლებელი გახდეს საკანონმდებლო მუშაობა. ერთ წერტილზე ვართ შეჩერებული და ასე აღარ შეიძლება; დროა საკანონმდებლო ცხოვრების აღორძინებას შეუდგეთო... სხვათა შორის, სავენკო სწერს:

„ერთი საოცარი გარემოება უნდა აღვნიშნო: ერთის მხრით მთავრობა ამბობს—სათათბიროსთან შეთანხმებული მუშაობა მინდაო და სწუხს, რომ უმრავლესობა არ შესდგა; ხოლო, მეორეს მხრით, როცა სათათბიროში უმრავლესობა მყარდება, ან კიდევ უკეთესი—როცა მთელი სათათბირო ერთსულოვანს დადგენილებას იღებს, იგივე მთავრობა უზომოდ ჰრაზდება და ყოველ ღონეს ხმარობს ჩაშალოს სათათბიროს ერთსულოვნება და სწორედ ისე მოიქცეს, როგორც სათათბიროს არა სურს".

როცა ასეთი სიტყვები და მხილება შავრაზმელთა ბანაკიდანაც გამოსვლას დაიწყებს, მაშინ, მთავრობის საქმე, მართლა ცუდად უნდა იყოს.

* *

„პეტერბ. ვედომ."-ის ერთ-ერთ №-ში ნ. დურნოვოს საინტერესო წერილია მოთავსებული ჩვენს ქვეყანაში რუსეთიდან გადმოსახლების შესახებ. მოგვყავს ზოგი ადგილი:

„საქართველოში, სწერს ნ. დურნოვო, ნამეტნავად მის დასავლეთ ნაწილში, დასასახლებლად გამოსადეგი მიწა ძლიერ ცოტაა. ბევრია იქ ისეთი ქართველი გლეხი, რომელსაც მეოთხედი დესეტინა მიწის მეტი არაფერი გააჩნია. რაც შეეხება დაბალ სამღვდელოებას, ის ამ მეოთხედ დესეტინასაც მოკლებულია. სამაგიეროდ ბევრი მიწა აქვთ რუსეთიდან გადმოსახლებულებს, ამათ თითოეულ სულზე ათი დესეტინა მიწა მოუწევს. ამათ დასახლების დროსაც დიდათ ეხმარებიან: ურიგებენ იარაღს, უიარაღო ქართველებისაგან თავის დასაცავად. ეუბნებიან გარშემო მტერი გარტყიაო. თუ მოვიგონებთ პავლე და ალექსანდრე პირველთა მანიფესტს ქართველი ხალხის მიმართ, რა ითქმის მაშინ, გადასახლების ამგვარი სისტემის შესახებ?

რისთვის უნდა წავართვათ ჩვენ მამული ქართველ ხალხს და დავასახლოთ იქ რუსები, როდესაც ეს რუსები მაჰმადიანთა შემოსევის დროს ქართველთა მამულს ვერ დაიცვენ. მოვა დრო და რუსი შოვინისტების, „ინოროდცებში" მძულვარების თესვის სისტემას ყველა გაიგებს.

რამდენად მეტად შევავიწროებთ „ინოროდცებს," იმდენად უფრო გამაგრდებიან ისინი, და სადაც შესაძლებელი იქნება რუსთა წინააღმდეგ შეერთდებიან კიდეც. ამის მაგალითებს თურქესტანსა, ციმბირსა და სხვა განაპირა ქვეყანაში ვხედავთ. ქართველები და მალდავანები კი არ ავიწროებენ რუსებს, არამედ პოლონელები, გერმანელები, ფინლანდელები და სხვანი.

წინად, ჩვენ ვფიქრობდით, რომ კავკასიის მხარეს ქართველები იცავდნენ და მფარველობდნენ და არც ვცდებოდით.

ახლა ამ მხრის დიმცველებად ის რუსი გლეხები მიგვაჩნია, რომელთაც დასტოვეს თავისი მამული, სამშობლო და კავკასიაში გადასახლდნენ. ასეთი გლეხები საქართველოში დიდხანს ვერ დარჩებიან; ისინი მალე წავლენ ისე, როგორც წავიდნენ საქართველოდან ამერიკაში რუსი მოლოკანები და დუხობორები.

გადასახლებულ რუს გლეხებზე რუსი ნაციონალისტები ერთობ დიდ იმედს ამყარებენ. არსად და არა დროს რუსი გლეხი სხვისი გამრუსებელი არ ყოფილა. და, თუ „ინოროდცებით" რუსთა ნაცია გაძლიერდა, ეს რუსეთის კულტუროსნობით აიხსნება.

ამ ჟამად საქართველოში ქართველი იძულებული ხდება მტრულად შეხედოს იმათ, ვინც დაინარჩუნა ის მამული, რომელიც ქართველთა სისხლითაა მორწყული და მათი წინაპართა ძვლებით ავსებული.

რა უნდა ვსთქვათ რუს ნაციონალისტთა, გონებრივი განვითარების მხრით უმწეოთა, ამგვარ მუშაობაზე? საით მიჰყავთ მათ რუსეთი? რისთვის უნდათ ძმათა შორის შუღლისა და ქიშპის დათესვა?

საქართველოში ახლა, გარდა რუსებისა, პოლონელები და სომხებიც ბევრია. ქართველი თავად-აზნაურობა დაღარიბდა; სამღვდელოებასა და ხალხს კიდევ უარესი დაემართა. ცხოვრება რამდენად მძიმე შეიქნება ქართველთათვის, იმდენად მეტად გაძლიერდება მათში სამშობლოსადმი სიყვარული. ქართველთა ნაცია მაგრდება, ძლიერდება და იგი არაოდეს არ მოკვდება.


**ექიმი ივ. გომართელი** პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

**ექიმი ე. ი. გეგეჭკორი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.: **გახსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 34, კიროჩნი ქუჩის ახლო, **საფოსტო განყოფილ.** პირდაპირ. 102

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ელექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი** ქ უ თ ა ი ს შ ი **ვ. თ. ტყეშელაშვილი.** ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130


## სახელმწიფო სათათბირო

**14 მაისის სხდომა*).**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. განაგრძობენ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათს.

**ზამისლოვსკის** აზრით, მთავრობა თავის საფინანსო პოლიტიკით ხელს უწყობს სპეკულიანტების გამდიდრებას და მომხმარებელთა სახსარს არ ჰზოგავს.

**დემენკო.** უპასუხებს კოკოვცევს და ციფრებით ამტკიცებს, რომ რკინის გზების გაყვანის საქმე ფრიად ნელის ნაბიჯით მიდის. არც სახელმწიფოს დაცვის საქმე დაუჩქარებიათ. (ტაში მარჯვნით).

**შინგარევი.** ვრცლად უპასუხებს კოკოვცევს: მინისტრის სიტყვის უმეტესი ნაწილი ან საპოლემიკოა ან და ლამაზი ფრაზაა. მინისტრი აცხადებს—სათათბიროს საბიუჯეტო უფლების გაფართოვება თვით სათათბიროს კომპენტენციას შეადგენს. რათ არ სარგებლობთ ამ უფლებითო? მინისტრს, ალბად, დაავიწყდა, რომ თვისივე მეცადინეობით უკუაგდებინა სახელმ. საბჭოს მესამე სათათ. კანონ-პროექტი საბიუჯეტო უფლების გაფართოვების შესახებ. საზოგადოდ სათათბიროს თაოსნობა ფრიად შეზღუდვილია. მოლაპარაკე ეკამათება მინისტრს სამიწათმოქმედო პოლიტიკის შესახებ. მინისტრი ბევრს ლაპარაკობს საფინანსო პოლიტიკა-

*) მოგვყავს სრულიად 14 მაისის სხდომის ანგარიში სადაც მოთავსებულია დეპ. ვარლამ გელოვანის სიტყვა.

ზე და ერთ სიტყვასაც არ ანდომებს საზოგადო პოლიტიკას. უბედურობაც ის არის, რომ არ გვესმის რა მჭიდრო კავშირი არსებობს საფინანსო და საზოგადო პოლიტიკის შორის. (ტაში მარცხნით).

**მარკოვი მეორე.** იმეორებს თავის პირველ სიტყვას და დასძენს, რომ მინისტრმა ჩვენი ბრალდება ვერ დაარღვიაო.

## გელოვანის სიტყვა

**გელოვანი** (ქუთაისის გუბერნია). ნება მიბოძეთ, ბატონებო, თქვენი ყურადღება რამდენიმე წუთს შევაჩერო იმ საკითხზე, რომელსაც არც ერთი მოლაპარაკეთაგანი,—არც მთავრობის წარმომადგენელი და არც სათათბიროს წევრები,—არ შეეხებიან. მინდა თქვენი გულისყური მივაპყრო იმ გარემოებას, თუ მთავრობა რა გვარ საბიუჯეტო პოლიტიკას აწარმოებს განაპირა ქვეყნებისა და არა-რუს ხალხთა შორის. ჩემი სურვილი მით უფრო ძლიერია, რომ, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს აზრი, ვითომც განაპირა ქვეყნები ფინანსიური მხრით რუსეთის სახელმწიფოსთვის უარყოფით რასმე წარმოადგენდეს, ვითომც იგინი საზარალონი იყვნენ, და მათი შემოსავალი მათთვისვე გაწეულ ხარჯს ვერა ჰფარავდეს და განაპირა ქვეყნების შენახვა რუსის გლეხს აწვებოდეს კისერზე. თუ კი ეს აზრი, რომელსაც ჩვეულებრივად მემარჯვენე და ნაციონალისტები იცავენ, მართალია, თუ კი ეს ფაქტი—ცენტრისა და განაპირა ქვეყნების არა ნორმალურ ურთიერთობისა ჭეშმარიტია, თუ მართლაც რუსეთის განთქმულ არა-რუსებს ისედაც გაძვალტყავებული რუსის გლეხი ინახავს, ასეთი მგომარეობა არ შეიძლება ფრიად სახიფათოდ არ ჩაითვალოს, არა მარტო არა-რუსთათვის, არამედ რუსი გლეხისა, მთავრობისა, და საზოგადოდ მთელი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისათვის. არ შემიძლიან ღრმა სინანული არ გამოვთქვა, რომ ფინანსთა მინისტრმა თვის ორს ფრიად ვრცელ განმარტებაში საჭიროდ არ სცნო, ერთი სიტყვით მაინც შეჰხებოდა ამ ფრიად საგულისხმო და რთულ საკითხს. ჩემ მიერ მოხსენებულ აზრის დამცველნი თვის ცნობებს ჰკრეფენ სახელმწიფო კანტროლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშიდან, ისინი ამ ანგარიშს ემყარებიან. მართალია, ამ ცნობებს ადამიანი ძლიერ ფრთხილად უნდა მოექცეს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათ ფორმალური ხასიათი აქვთ და არ გვაძლევენ განაპირა ქვეყნების შემოსავალ-გასავლის ნამდვილ ციფრებს; მაგრამ რადგანაც სხვა ოფიციალური დოკუმენტი არ მოგვეპოვება, იძულებული ვართ ისევ იმ ერთად-ერთ წყაროს მივმართოთ. რას გვეუბნებიან ეს ციფრები? თუ მოვიწადინებთ განაპირა ქვეყნების საერთო შემოსავლისა და ხარჯის განსაზღვრას, თუ დავადგენთ საერთო ჯამს, რამდენი შედის განაპირა ქვეყნებიდან ხაზინაში და რამდენს ხარჯავს ხაზინა იმავე ქვეყნებზე, დავინახავთ, რომ 1891 წ. ამიერ კავკასიამ, პოლონეთმა, ბალტიის მხარემ, ბელორუსიამ და უკრაინამ ხაზინას მისცა შემოსავალი 813.960.823 მან. საჭიროდ მიმაჩნია, აქვე განვაცხადო: სრულიად საფუძვლიანად ვაკუთნებთ უკრაინელებს არა-რუსთა რიცხვს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკრაინელები, როგორც დანარჩენი არა-რუსნი იმავე დევნას განიცდიან თვისი ენისა და ეროვნულ კულტურისთვის... (ხმები მარჯვნით: „სისულელეა, სისულელე!“) (თავმჯდომარის ზარი). მთავრობაც, როგორც უკვე მოგხსენდათ ამ ტრიბუნიდან, უკრაინელებს არა-რუსად სთვლის... (ხმა მარჯვნით: „უკრაინელები არა რუსნი არიან?“)

**ჩხეიძე.** დიახ, დიახ!..

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, ადგილიდან ნუ ჰლაპარაკობთ.

**გელოვანი.** განაპირა ქვეყნებიდან რომ ამდენ შემოსავალს იღებს რუსეთის მთავრობა დასახელებულ ქვეყნების მართვა-გამგეობისთვის ჰხარჯავს 576.841.318 მანეთს; ამგვარად შემოსავალი ხარჯს აღემატება 237.119.500 მანეთით, ე. ი. განაპირა ქვეყნების შემოსავლის ერთ მეოთხედზე მეტით, ანუ 25%-ით. მართალია, ყველა განაპირა ქვეყანა ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფება. იმ ქვეყნებთან ერთად, რომელნიც შემოსავალს გაცილებით მეტს იძლევიან ხარჯზე, როგორც პოლონეთი, ბალტიის მხარე და უკრაინა, არსებობს ისეთი განაპირა ქვეყნები, რომელნიც პირველის შეხედვით საზარალო ქვეყნებს წარმოადგენენ, როგორც ამიერკავკასია და ლიტვა, მაგრამ ამ დეფიციტს წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს, წმინდა საბუჰალტერიო. ამიერ-კავკასიაში დეფიციტი უდრის 22.800.000 მანეთს, მაგრამ ამავე დროს ამიერ-კავკასიის შემოსავალში არ არის ნაჩვენები. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა შემოსავალი, რაც 1911 წ. 28.700.000 მანეთს უდრიდა, მიუხედავად იმისა, რომ რკინის გზათა საექსპლოატაციოდ გაწეული ხარჯი 20 მილიონ მანეთზე მეტი ტფილისის გუბერნიას აქვს მიწერილი. როდესაც ამ შესწორებას შევიტანთ, დავინახავთ, რომ ამიერ-კავკასია არა თუ საზარალო ქვეყანა არ არის, არამედ მისი შემოსავალი ხარჯს ბევრად აღემატება, და ეს რაოდენობა ზედმეტი შემოსავლისა მით უფრო საგრძნობი და შესანიშნავი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ სამხედრო ხარჯი ამიერ-კავკასიაში უდრის 26.000.000 მანეთს, რომელიც გამოწვეულია არა მარტო ადგილობრივი საჭიროებით, არამედ საერთო სახელმწიფო ინტერესებითაც. ნახსენებ ციფრებიდან სჩანს, რომ ზემოდ მოყვანილი აზრი შეთხზულია ისეთი ხალხისაგან ვისი პოლიტიკური არსებობაც რუსის ერისა და არა-რუსთა შუღლსა და მტრობაზეა დამყარებული დ წარმოადგენს ნამდვილ არაკს, იგი შორსაა სინამდვილესა და ჭეშმარიტებასთან. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სახელმწიფო კანტროლის ციფრები გვიჩვენებენ, თუ რანაირად შეუძლიან რუსეთის საბიუჯეტო აპარატს ამოსწოვოს ზემოდ ჩამოთვლილ განაპირა ქვეყნებიდან არა ნაკლებ 700 მილიონ მანეთისა, საიდანაც 300 მილიონი მუდამ ხელუხლებელი რჩება, რაგან იგი არ იხარჯება დასახელებულ ადგილების სახელმწიფო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ, დროა მოისპოს ლაპარაკი, ვითომც არა რუსნი ინახებოდნენ და იკვებებოდნენ შიდა რუსეთის გუბერნიათა მცხოვრებლების ზედმეტი გადასახადით, მით უმეტეს რომ ხალხთაღრიცხვის სიდიდე და ზედმეტობა არ ჰნიშნავს რუსის გაძვალტყავებულ, მშობელ ხალხის სიმდიდრეს. განაპირა ქვეყნების ხარჯთაღრიცხვის აზრს რომ ჩაუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნებისთვის გაწეულ ხარჯთა 26% უნდება სამხედრო საჭიროებას; 576.741.000 მანეთიდან რომელიც 1911 წელს ხაზინამ დახარჯა განაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობისთვის, ერთ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ჯარის შესანახად წავიდა და მხოლოდ 22 მილიონი ანუ 4% მოჰხმარდა ხალხის სხვა საჭიროებას. აქედან ნათლად ჰხედავთ, ბატონებო, რომ რუსეთის ბიუროკრატია აგრე რიგად არ ანებივრებს განაპირა ქვეყნების მცხოვრებთ, ფრიად მტკიცე ხელით განაგებს მათ, გარნა ძლიერ ნაკლებად ზრუნავს მათი განათლებისთვის, გულუხვად ათრობს არაყით, ხოლო ნაკლებად ფიქრობს მათი ნივთიერი და გონებრივი წარმატებისთვის: თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ ამიერ კავკასიას სადაც არაყს ნაკლებად ხმარობენ, სადაც ჩვენდა საბედნიეროდ სახაზინო არაყის მონოპოლიამ ვერ მოასწრო თვისი ქსელის გაბმა, სხვა განაპირა ქვეყნები პირდაპირ ბიუროკრატიის წყალობით ილეშება არაყით. 1911 წლის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რუსეთის ბიუროკრატიამ შესძლო სახაზინო არაყის გაყიდვით აელო მცხოვრებთაგან 188.223.787 მანეთი, რაც დასახელებული ქვეყნების შემოსავლის ერთს მეოთხედს შეადგენს. მარტო უკრაინა ჰსვამს 100.000.000 მანეთის არაყს; გამოდის, რომ განაპირა ქვეყნებიდან შემოსავლის ერთი მეოთხედი ხალხის ლოთობისაგან შემოდის და ხარჯთა ერთი მეოთხედი კი სამხედრო საჭიროებასა ჰხმარდება. ბატონებო, ნუ თუ გგონიათ, რომ განაპირა ქვეყნების მცხოვრებთ არ აქვთ სრული უფლება და საბუთი წარმოადგინონ რუსეთის ბიუროკრატია იმ კაცის სახით, რომელსაც ცალ ხელში უჭირავს არყის დიდი ბოთლი და მეორეში კი—ხმალი და ხიშტი. აი, კულტურა, რომელსაც ვერ გასცილებია რუსეთის ბიუროკრატია. აი, ის კულტურა, რომელიც მას განაპირა ქვეყნებში შეაქვს, როგორც თვისი ძალისა და უფლების განსახიერება. ბიუროკრატია განაპირა ქვეყნებში წარმოადგენს ქალაქის კეთილდღეობის გამანადგურებელს, ადგილობრივ მცხოვრებთა მიწის საკუთრების ექსპროპრიტორს; ყოველ შემთხვევაში ამ სახით გვევლინება ხოლმე იგი ამიერ კავკასიაში. ხაზინამ ხელთ იგდო დიდ ძალი მიწა, გასძარცვა და უსახსროდ დასტოვა ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს მშრომელი ხალხი. 15.688.700 დესეტინიდან, ხუთ გუბერნიაში: ბაქოსა, განჯისა, ტფილისისა, ერევნისა და ქუთაისისა... (ხმები მარჯვნივ: „კიდხულობს“), ... დიახ, ციფრებს ვკითხულობ... ხაზინა ჰფლობს და ჰსარგებლობს 8.139.200 დესეტინა მიწას, ანუ 52%-ს ხუთი გუბერნიის მიწისას. ასეთი ძარცვის წყალობით, გლეხის მიწის რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ტფილისის გუბერნიაში სულზე მოდის 1,2 დეს., ერევნისაში—1,6., ქუთაისისაში კი—0,5 დეს... ნუთუ გასაკვირველია, ბატონებო, რომ ამიერ კავკასიის მშრომელი ელემენტი ნიადაგ უკმაყოფილოა არსებულ წესწყობილებისა; გასაოცარია განა, რომ მათ დაჰკარგეს რწმენა რუსის ბიუროკრატიის შემოქმედებითი ძალისა! იგი მთელს თავის იმედს საკუთარ ძალ-ღონესა და თვითმოქმედებაზე ამყარებს, რუსეთის მოწინავე დემოკრატიასთან ერთად. განაპირა ქვეყნების უმეტესობა, რამდენადაც ვიცი, და ყოველ შემთხვევაში, ის განაპირა ქვეყანა, რომლის წარმომადგენელიც მე გახლავართ, სწორედ რუსის დემოკრატიისა და მოწინავე ინტელიგენციის სოლიდარული მოქმედებით ჰფიქრობს ამ დუხჭირ მდგომარეობიდან გამოსვლას. ბიუროკრატიამ, რომელსაც ძალუძს მხოლოდ გაძარცვოს ერის სიმდიდრე და შეურყვნას სული, დიდი ხანია რაც დაჰკარგა საიდუმლოება ისეთი პირობების შექმნისა რომ ერის პოლიტიკური დ საზოგადოებრივი ცხოვრება შესაძლებელი გახდეს. ისტორია მოუწოდებს თვით საზოგადოებას, თვით მშრომელ ელემენტს შეჰქმნას და მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, გაინთავისუფლოს თავი ბიუროკრატიის ბრჭყალებისაგან, შვება მოჰფინოს მთელ რუსეთს, საზოგადოდ, და კერძოდ განაპირა ქვეყნებს, მიანიჭოს თავისუფლება ერის ეკონომიურ და საზოგადოებრივ თვითმოქმედებას; უამისოდ შეიძლება დასუსტდეს და დასასრულ დაიღუპოს კიდეც როგორც მთლად იმპერია, აგრეთვე განაპირა ქვეყნები. ნურავინ იფიქრებს, ბატონებო, რომ რუსეთის მორიგი პოლიტიკური საკითხი შეიძლება გადასწყდეს ისე, თუ თანხმობა და თანამშრომლობა არ იქნება ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ამისთვის კი საჭიროა, რომ თანამედროვე პოლიტიკურ საკითხს სარჩულად დაედვას განაპირა ქვეყნების განსაკუთრებული პოლიტიკური მიზანი, უკანასკნელთ უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივი დი პოლიტიკური ავტონომია, რაც შეთანხმებული იქნება მომავალ რუსეთის საერთო დემოკრატიულ წესწყობილებასთან, როგორც ერთს მთელთან“. (ტაში მარცხნით).

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მოკლედ აღინიშნა ხუთი დღის კამათი და წინადადებას აძლევს სათათბიროს შეუდგეს სამინისტროების ცალკე ხარჯთაღრიცხვათა განხილვას. კენჭის ყრით წინადადება მიიღეს. სოციალდემოკრატები და შრომის ჯგუფის წევრნი წინააღმდეგნი არიან მთელი ხარჯთაღრიცხვის შენარჩუნებისა და ცალკ-ცალკე ხარჯთ-აღრიცხვათა განხილვაზე გადასვლისა.

### 28 მაისის სხდომა.

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გრძელდება.

**ჩხენკელი** განაგრძობს წინა სხდომაზე დაწყებულ სიტყვას. სენატი თავის განმარტებებით თავის თავს ეწინააღმდეგება ხოლმე: იგი არსებულ კანონებს ხან ფრიად აფართოვებს და ხან კი სრულიად გვერდს უხვევს მათ. მოლაპარაკე დიდ ხანს ლაპარაკობს განაპირა ქვეყნებში სასამართლოს ორგანიზაციის უვარგისობაზე; ადგილობრივი მცხოვრებთ არ იციან რუსული ენა და ამის გამო საქმის ფაქტიურად მოსამართლენი კი არ არჩევენ, არამედ თარჯიმანები, კერძოდ კავკასიაში რუსეთის სასამართლო მტრულად ეპყრობა ადგილობრივ მცხოვრებთ. დასასრულ მოლაპარაკემ სოციალ-დემოკრატების სახელით განაცხადა, რომ ისინი იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

მინისტრთა ლოჟაში ზის იუსტიციის მინისტრი.

**კერენსკი** აღნიშნავს, რომ საკასაციო დეპარტამენტთა გადაწყვეტილების რიცხვი ამ ბოლო ხანს ფრიად შემცირდაო. ორი წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა გაარჩია მხოლოდ 17 საქმე. სენატის გადაწყვეტილებაში ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე საზომს, აზრს, გარდა მლიქვნელობისა. სენატი სათავეში უდგას სასამართლოს ახალ პრაქტიკას და იგი პირველი გვიჩვენებს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება დაამახინჯოს ადამიანმა კანონი. ლიჟინის შემთხვევა დამახასიათებელია, თუ როგორ ირჩევა ჩვენში საქმე. ლიჟინისთანები ბევრნი არიან. შეიძლება ბევრი ადგილი დავასახელოთ რუსეთში, სადაც საქმის წარმოება ყალბ საბუთებზე ხდებოდეს (ხანგრძლივი ტაში მარცხნით).

**ეფრემოვი.** რუს მოქალაქეთა უფლებანი ადმინისტრაციის თვითნებობაზეა დამოკიდებული. 1864 წლის სასამართლოს წესდებამ აღზარდა ხალხში კანონიერების, უფლების და სამართლიანობის გრძნობა. 80-იან წლებში კანონის სინათლე იჩრდილება, სასამართლო ველარ ზრდის ერს, რადგანაც იგი მარტო კანონით აღარ ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკემ სთქვა: საჭიროა მინისტრები პოლიტიკურად პასუხისმგებელნი იყვნენ სახალხო წარმომადგენლობის წინაშე.

**იუსტიციის მინისტრი.** შეიძლება კადნიერად მოეპყრათ მინისტრს, მაგრამ სასამართლოს კი პატივისცემით უნდა მოექცეთ; განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პარტიის იმ თვალსაჩინო წარმომადგენელთაგან გესმის სასამართლოსადმი კადნიერება, ვინც სიტყვით ზრუნავენ რუსეთში სამართლიანობის და უფლებობის დამყარებას (მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა ტაში). მინისტრი კადნიერებად სთვლის იმ განცხადებას, ვითომც სასამართლოს განაჩენი უწყების უფროსთა ბრძანებით ხდებოდეს მინისტრი მტკნარ მოგონილ ამბად სთვლის, ვითომც ლიჟინის სიყალბენი მინისტრმა წინადვე იცოდაო: როგორც კი მინისტრს ეს საქმე ეუწყა, მან დაუყონებლივ ბრძანება გასცა ლიჟინი სამსახურიდან გასულიყო, რაც უმალვე აღსრულდა. რაც შეეხება იმ განცხადებას ვითომც უდანაშაულონი კვლავაც სასჯელს იხდიან, მართალი არ არის: 146 დაშნაკცუტუნში 94 კაცი გაამართლეს. ექვსი კაცი გულწრფელად გამოტყდა დანაშაულში; დანარჩენი სხვადასხვა საბუთების მიხედვით დამნაშავედ იყვნენ ცნობილნი. თუ მართლა უდანაშაულონი დასჯილნი არიან, რატომ ერთი შუამდგომლობა მაინც არ აღიძრა საქმის ხელმეორე გარჩევისა? ამ საქმის გამო დამცველთა შორის იყვნენ კერენსკი და მაკლაკოვი; მაშასადამე თუ მათი განცხადება ჭეშმარიტია, მათ არ შეუსრულებიათ დამცველის მოვალეობა (მემარჯვენეთა, ნაციონალისტთა და ცენტრის ნაწილის ტაში).

კერენსკი მინისტრს აწერდა 21 თებერვლის უქაზის განმარტებას, მინისტრს კი არავისთვის გაუგზავნია 21 თებერვლის უქაზის განმარტება. მინისტრს ბრალს სდებენ დეპუტატთა პასუხისმგებლობის თაობაზე სენატის განმარტებაში; მინისტრს არ ესაყვედურება ის, რომ იგი არ მისდევს ვიზევეტერის კათეხიზმოს და ანგარიშს უწევს უფრო ავტორიტეტიან პირთა სიტყვებს, როგორიც არიან ცნობილნი რობერტი, ფონ-მოლი, ჰეინცე, ბინლინგი, ციმერმანი; ამათ დეპუტატის-პასუხის უგებლობის საკითხი უარყოფით გადასწყვიტეს. მინისტრი ამბობს: თუ გვინდა ხელი შეუწყოთ მართლმსაჯულების დამკვიდრებას, პირველყოვლისა პატივისცემით უნდა ვანვისმსჭვალეთ სასამართლოსადმი. ფრიად გასაოცარია, როდესაც იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას იხილავენ, კადეტებისაგან მოგვესმის ფრიად სასიმპატიო სურვილები და გულისთქმანი და როდესაც კი საქმე ამ გულისთქმათა განხორციელებაზე მიდგება, როგორც მაგალითად ადგილობრივ სასამართლოს პროექტია, კადეტები ლამაზი სიტყვებით სცდილობენ საქმე როგორმე შეაფერხონ (მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა ტაში). ყოველივე საყვედური და ეჭვი, ვითომც განაჩენი მინისტრის ბრძანებით გამოჰქონდეს სასამართლოს, მე კი არ მაყენებს შეურაცხყოფას, არამედ სასამართლოს. სასამართლო ყოველ სახელმწიფოში უნდა ორ ძირითად დებულებას ემყარებოდეს: პირველი—სახელმწიფოებრივობას დ მეორე—სასამართლო უნდა იყოს წმინდა რუსული და კოსმოპოლიტიური არა-რუსთა ხასიათი მას არ უნდა ჰქონდეს (მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა ტაში).

**ზამისლოვსკი** ეკამათება მაკლაკოვს და აღნიშნავს, რომ მის მოსაზრებაში ძირითადი წინააღმდეგობაა შემჩნეული. მოლაპარაკე იცავს სასამართლოს უწყების მოქმედებას და უპასუხებს ოპოზიციის წარმომადგენლებს.

**პარჩევსკი.** პოლიციურმა სულმა მოიცვა ყველა უწყება და კერძოდ იუსტიციის უწყებაც. ეს როლი პოლიციური ფრიად საგრძნობია პოლონეთში. პოლონელი ერი, მისი ენა, კულტურა სახელმწიფოს ყოველ დარგიდან არის დევნილი. მოსამართლენი პოლონელთათვის სრულიად უცნობნი არიან. პოლონელთა კოლო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

**აჯემოვი** უპასუხებს მინისტრს, ზოგიერთ მის მოსაზრებას აბათილებს და დასძენს, რომ სასამართლოს ავტორიტეტი და პატივი ხალხის თვალში დამცირებულია.

**პაპაჯანოვი** მოუთხრობს სათათბიროს სასამართლოს მოქმედებას კავკასიაში, აღწერს ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარის ლაგოდას მოღვაწეობას. განსაკუთრებით იღნიშნავს იმას, თუ რაგვარად სდევნიდა იგი ადგილობრივ გაზეთებს, ადგილობრივ მცხოვრებთა ადვოკატურას. ლაგოდა თვის დევნას საზღვარს არ უდებდა, მიუხედავად იმისა, რომ სენატი უმეტეს შემთხვევაში არღვევდა მის განაჩენს.

**ნოვიცკი.** აჯემოვისა და მაკლაკოვის სიტყვები ვერ გაუტეხენ სახელს სასამართლოს. მათთვის უმჯობესი იქნება იზრუნონ დამცველთა ავტორიტეტის აღდგენისთვის, რადგანაც იგი ამ ბოლო დროს ფრიად დაცემულია (ტაში მარჯვნივ, მარცხნივ ხმაურობა და სიცილი). ნოვიცკი ამბობს: ჩვენ გენერალ ადვოკატებს სათათბიროში მხოლოდ ერთი მოვალეობა აქვთ: წელიწადში ერთხელ დაილაპარაკონ გენერალ-პროკურორის წინააღმდეგ, ისარგებლონ სათათბიროს წევრობის წოდებით და ხალხს, კლიენტებს მეტი ჰონორარი წაართვან (მარცხნივ ძლიერი ხმაურობა).

**თავმჯდომარე** სთხოვს ნოვიცკის, წესიერებას ნუ არღვევს.

დასასრულ ილაპარაკა თავ. **მანსირევმა.**

მომხსენებელმა **ანტონოვმა** განაცხადა: მოლაპარაკენი კერძოდ ხარჯთ-აღრიცხვას არ შეჰხებიან. ბრალდება სასამართლოს უსამართლობისა და სიმტკიცის უქონლობისა საკმარისად არ იყო დასაბუთებული.

სათათბირო შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის მუხლობრივ განხილვას.

მიიღეს პირველი მუხლი საბიუჯეტო კომისიის ვარაუდით „სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათათვის“.

**მილიუკოვი.** მას შემდეგ, რაც მინისტრმა აღიარა, რომ იგი ვიწრო პარტიულ პოლიტიკას აწარმოებს, მართლმსაჯულების საქმეში სათათბირომ უნდა გაჰკიცხოს იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკა. კადეტები ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას; მოლაპარაკე მოუწოდებს ცენტრს, მანაც მიჰბაძოს კადეტებს.

მეორე მუხლი კომისიის ვარაუდით მიიღეს.

შემდეგი სხდომა 29 მაისისთვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პოლიტეხნიკუმი.** თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, რომელთაც პოლიტეხნიკუმის ადგილის ამრჩევ კომისიაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, ამ ჟამად მოსკოვის დღესასწაულზე არიან წასულნი. ამის გამო კომისია მუშაობას შეუდგება ტფილისში მათის დაბრუნების შემდეგ.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** საფილოქსერო დასების ჩქარა წასვლას კახეთს ამ ჟამად ის გარემოება აბრკოლებს, რომ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს დღემდე არ გამოუგზავნია დასების შესანახი ფული. იმედი აქვთ, დეპარტამენტი ფულს ჩქარა გამოჰგზავნის და საფილოქსერო დასები მუშაობას 10 ივნისამდე შეუდგებიან. წელს, როგორც ვწერდით, მომუშავეთა რიცხვი ერთი-ორად გადიდებულია—60 კაცზე მეტია. მთელი შტატი რვა ჯგუფად დაიყოფა და კახეთის სხვა და სხვა ადგილას იმუშავებს.

✦ **„ვეფხის ტყაოსნის“ ახალი მე-21 გამოცემა.** ამ დღეებში დაიწყო ბ-ნ იუსტინე აბულაძის რედაქტორობით „ვეფხის ტყაოსანი“-ს ბეჭდვა, რომლის გამოცემა იკისრა ახალმა ამხანაგობამ „წიგნობრობის ქვეყანა“-მ. ამ გამოცემის ტექსტი შემოწმებულია უძველესს და საუკეთესო ხელ-ნაწერებთან და დართული აქვს საჭირო ვარიანტები და ტექსტის შესახები შენიშვნები. ამას გარდა წინასიტყვაობის სახით თავ[?]ი წამძღვარებული აქვს ბ-ნ იუსტინე აბულაძის **გამოკვლევა** და **ვრცელი ლექსიკონი**, რომელშიაც შედის ყველა დღემდი აუხსნელი და ძნელად გასაგები სიტყვების განმარტება.

✦ ამ დღეებში საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინი **არქიმანდრიტი ნაზარი** მონასტრების დასათვალიერებლად მიემგზავრება.

✦ **ყველის ქარხანა.** მეფის მოადგილის კანცელარიის საერობო განყოფილებაში აღძრულია საკითხი სვანეთში ყველის დასამზადებელ ქარხნის დაარსებისა. შესაფერ პროექტის შემუშავებას განყოფილება უკვე შეუდგა. ქარხანასთან განზრახულია დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაც.

✦ **ტფ. ხაზინაში.** ამ ჟამად მუშაობა უწეს-რიგოდ სწარმოებს, რადგანაც შენობას აკეთებენ და დიდი ვიწროობაა. შეკეთება ამ დღეებში დასრულდება და წესიერი მუშაობა 1 ივნისიდან დაიწყება.

✦ **საგილდო მოწმობების უქონლობისთვის** ქალაქის მეოთხე უბნის ხარჯის ამკრებმა ინსპექტორმა გორინმა ოქმები შეუდგინა სიონის ქუჩაზე ტყავეულობით ვაჭართ: საკ ოჰანესოვს, გიორგ სამოიანცს, მელქო და ბახჩო მელიქოვებს და მამედ ალიევს.

✦ **მებამბეობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ბორჩალოს მაზრიდან ატყობინებენ: ბამბის ნათესები წელს ძალიან გაფუჭდა, რადგანაც მაისის შუა რიცხვებში გამუდმებული წვიმები იყო და საგრძნობლადაც ციოდა. ბამბას დაეხვა ერთგვარი წვრილი მატლი, რომლის წამალიც მცხოვრებლებმა არ იციან. ბევრს ადგილას ბამბა ხელმეორედ დათესეს. სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, ბორჩალოს მაზრაში სპეციალისტი გაგზავნოს ავადმყოფობის გამოსაკვლევად და შესაფერ ღონის-ძიებათა მისაღებად.

✦ ფინანსთა სამინისტრო მოკლე ხანში **ხაზინას** გახსნის ქალაქ კარიაგინოში (განჯის გუბერნია).

✦ **გ. ზ. ქანანოვის საქმე.** ქალაქის გამგეობაში აღძრულია საკითხი: სამართალში იქნეს მიცემული საქალაქო ფულის მითვისებისთვის ქალაქის იურის კონსულტად ნამყოფი გ. ზ. ქანანოვი. შესაძლებელია თუ არა სამართალში მიცემა ქანანოვისა—ამ საკითხის გამორკვევა ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიას აქვს მინდობილი. გუშინ ქალაქის გამგეობას გუბერნატორმა წინადადება მისცა საჩქაროდ გაუგზავნოს მას გამგეობის მოხსენება ამ საქმის თაობაზე.

✦ **საბირჟო ცნობები.** 29 მაისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—86 მან. აძლევენ—85 მან. 40 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 60 კ., აძლევენ—83 მ. 15 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მან. აძლევენ—79 მან. 80 კ.

✦ ამ დღეებში „იბიგ“-ის ფირმამ, რომელიც ფქვილით ვაჭრობს, ველიამინოვის ქუჩაზე მეექვსე **ფურნე** გახსნა, სადაც პურს დღევანდელ ნიხრზე ნახევარ კაპეიკით ნაკლებ ჰყიდიან.

✦ **საასტრონომიო სადგური.** ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნება მოხსენება ფუნიკულიორის ზედა სადგურზე სახალხო საასტრონომიო სადგურის მოწყობის შესახებ.

✦ **წმ. ოლღას მონასტერი** მცხეთის საფეხურზე წმ. ოლღას ნიშს აშენებს.

✦ **წვერის-წყაროს უძველესი ეკლესია** (ტფ. მაზრა) ბეთანიის მონასტერს მიაწერეს.

✦ **სახალხო სახლში** ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად 2 ივნისს ვაჭარ-მრეწველთა და მოსამსახურეთა კლუბში (მიხეილის ქ., № 143) საღამო გაიმართება.

✦ ქალაქის სამხედრო საკრებულო დღეს შეამოწმებს იმ ახალგაზდათ, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად შარშან იყვნენ გაწვეულნი და ახლა გამოცხადდნენ.

✦ დიდად ვწუხვართ დაუზარელ და გულკეთილ მუშის, **იობ ისაკაძის** უდროოთ გარდაცვალებას. ალექსი და ფილიპე რაჭველიშვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **ტურისტების კლუბს**, რომელიც ამ დღეებში გახსნეს, როგორც გავიგეთ, ჰკეტავენ.

✦ **ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის** 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ქალაქის გამგეობამ დაასრულა.

✦ **მოკირწყვლა.** ამ ზაფხულს სოლოლაკის ქუჩას საუკეთესო სისტემით მოკირწყლავენ.

✦ ხმოსანმა სულხანოვმა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრობას თავი დაანება.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** საზოგადოებამ სოფ. ყალაძმის სკოლის შენობის აგება დაასრულა. შენობა 19 მაისს აკურთხეს მრავალ ხალხის თანადასწრებით.

საზოგადოებამ მიიღო **ფოთის განყოფილების** 1912 წლის მოქმედების ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს: საანგარიშო წელს განყოფილებას ჰყოლია 5 საპატიო და 49 ნამდვილი წევრი; გამგეობასთან დაარსებული ყოფილი ორი კომისია: თეატრის აღმშენებელი და წიგნის გამომცემელი. განყოფილების უმთავრესი ზრუნვა გამოხატულა ნივთიერ საშუალების გამოძებნაში. ამ აზრით გაუმართავს ლექციები და საღამოები, რომელსაც მიუცია 457 მან. 93 კ., საწევრო ფული შემოსულია 147 მან. განყოფილებას სხვა საქმეებთან ერთად ერთი კეთილი საქმე გაუკეთებია: საანგარიშო წელს ღარიბეს მოსწავლეთათვის უფასოდ დაურიგებია 160 მან. სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. 1912 წლის 1 იანვარს განყოფილებას ჰქონია ნაღდი ფული 542 მან. 12 კ., წლის განმავლობაში შემოსულია 681 მან. 62 კაპ., სულ გაძიდარა—1,223 მან. 74 კ., წლის განმავლობაში დაუხარჯავს 315 მან. 59 კ., 1913 წლის 1 იანვრისთვის დარჩენია 908 მან. 15 კ., ფოთის განყოფილება დაარსებულია 1910 წლის 1 აპრილს.

✦ **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 1 ივნისისთვის არის დანიშნული, საღამოს $7^1/_2$ საათზე, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში. კრება განიხილავს 1912 წლის მოქმედების ანგარიშსა და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვას და თანამდებობის პირთ აირჩევს.

✦ **ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრება** დაიწყება 16 ივნისს სახალხო სახლში. კრებაში მოხაწილეობის მიღების სურვილი დღემდე 350 კაცმა განაცხადა. მოხსენების წაკითხვის სურვილი დღემდე 250 კაცმა გამოსთქვა.

ქალაქის სასალახოს გამგის ბეითლის ვ. ი. ლანგის შუამდგომლობის თანახმად, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, კრებასთან საბეითალო გამოფენა გამართოს. გამოფენის მოსაწყობად გამგეობამ 200 მან. გადასდო.

წინასწარ გამოანგარიშებით კრების მოსაწვევი ხარჯი 9—10 ათას მანეთამდე ავა. ხარჯის გასტუმრება იკისრეს: ტფილისისა და ბაქოს თვითმართველობებმა, ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭომ, ტფ. საბირჟო კომიტეტმა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ და მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტრომ.

## სასწავლებლებში

✦ ფეთხაინის უძველეს ეკლესიასთან სამრევლო სკოლა არსდება.

✦ **სამეურნეო სკოლები.** ქუთაისის გუბერნიაში ერთობ გაიღვიძა სამეურნეო სკოლების დაარსების სურვილმა. ამ დღეებში მიწათ მოქმედების დეპარტამენტის წინაშე მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს, რათა დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლები დაარსდეს შემდეგს სოფლებში: ახუთსა, ქვიანსა, ხეთსა, წელონჯიკსა, ხორშსა, მუხურში და სხვაგან. მცხოვრებნი თანახმანი არიან, დაუთმონ სკოლებს უფასოდ მიწა და ფულიც გაიღონ.

✦ **მებაღეობისა და მებოსტნეობის სკოლა.** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს აზრად აქვს, მოკლე ხანში სამეურნეო სასწავლებელი დააარსოს შორაპნის მაზრის სოფელ ბოლეეში. სკოლამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ზამთრის მებაღეობასა და მებოსტნეობას. იქ ასწავლიან მეაბრეშუმეობასა და ფრინველთა მოშენებასაც. მცხოვრებთ სასწავლებლისთვის 40 დღიური მიწა აქვთ გადადებული, ამას გარდა ფულად აქვთ მოგროვილი 3.000 მან.

✦ **სამეურნეო სკოლის რეორგანიზაცია.** მიწათ-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის სამინისტროს განსახილველად წარედგინა სპეციალისტთა მიერ შედგენილი პროექტი ქუთაისის დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის რეორგანიზაციისა. პროექტის ავტორნი აღნიშნავენ რომ ამ სასწავლებელმა, რომელიც დაარსდა 1892 წელს, დღემდე არ გაამართლა თავისი დანიშნულება და მხოლოდ ნელ-ნელა საბაღოსნო სკოლად გადაიქცა, რადგანაც მისი მოქმედების რაიონი ქუთაისისა და შორაპნის მაზრაა და ეს რაიონი კი განსაკუთრებით მებაღეობისა და მევენახეობის მიმდევარია. მათის აზრით სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს საბაღოსნო და მეღვინეობის დაბალ სკოლად. კომისია იმ აზრისაა, რომ ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა სამეურნეო სასწავლებელი უნდა გაიხსნას იმის და მიხედვით, რომელი რაიონი როგორს მეურნეობას მისდევს. ქუთაისის სკოლის რეორგანიზაციის შემდეგ კომისია საჭიროდ სთვლის ამ თავობით კიდევ სამის ახალ სასწავლებლის დაარსებას.

✦ **მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის საქალებო სკოლაში** 27 მაისს მოსწავლეთა გამოცდა მოხდა. გამოცდას დაესწრნენ სკოლების საეპარქიო მეთვალყურე მალინოვსკი და მეორე საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინი დეკანოზი ნ. მაჭარაშვილი. მოსწავლეებმა თავის ცოდნით დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს.

✦ **ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის** მერვე კლასის მოსწავლეთა ეგზამენები 13 ივნისს უთავდებათ. წელს ეგზამენების ჩაბარების უფლება მხოლოდ ორს მოსწავლეს არ მისცეს.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **სასკოლო ფონდს** სომხის საზოგადოება იშვიათის ხალისით სწირავს ფულსა. ფონდის სასარგებლოდ ფული თითქმის ყველა ადგილას ახლაც გროვდება. დღემდე მარტო ნახიჩევანის (დონზე) სომხებმა ფონდს შესწირეს 150,000 მანეთამდე. პეტერბურგის სომეხთა ეკლესიის საბჭომ დაადგინა, წელს ფონდის სასარგებლოდ 5,000 მან. გადასდოს; ამას გარდა შემდეგში, ათის წლის განმავლობაში, ყოველ წლიურად 10,000 მან. აძლიოს.

## ქუთაისი.

✦ ამ მოკლე ხანში პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი ქუთაისში ლექციას წაიკითხავს ქართული ქალაქების თვითმართველობის შესახებ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში.

✦ შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ზდანოვიჩს ზეგ, პარასკევს, მოელიან ქუთაისში.

✦ 27 მაისს ადგილობრივ საეთნოგრაფიო საზოგადოებას სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობის შენობაში. კრებაზე რამდენიმე მიმდინარე საკითხი იყო გარჩეული. სხვათა შორის, კრებამ დაადგინა ამ ზაფხულს სხვა და სხვა ადგილს განსაკუთრებული პირები გაგზავნოს სიძველეთა მოსაძებნად. გამოითქვა ის აზრი, რომ სოფლის მღვდლებსა და მასწავლებლებს უნდა მიეცეთ წინასწარი ხელმძღვანელობა და მათი შემწეობით ბევრი რამ შეიძლება შეიძინოს გამგეობამ მომავალი მუზეუმისათვის.

✦ გასულს შაბათს ქალაქის პირველ დაწყებით ქალთა სკოლამ გოგებაშვილის სახელის სახსოვრად საღამო გამართა. ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება დაგვრჩა ამ საღამოსი. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით პატარა მოწაფე ქალთა მიერ ჩინებულმა ლექსთა კითხვამ მიიპყრო. კარგი, მკაფიო, მოხდენილი ქართული კითხვა გვესმოდა. გაგვიახლდა ის სიამოვნება, რომელიც გასულ კვირაში ძველ-სენაკში ვიგრძენით ქართული სკოლის მეგრელ მოწაფეთაგან ქართული ლექსების კითხვის დროს.

✦ ქიათურიდან გვწერენ: 25 მაისს, საღამოს, სადგურში დააპატიმრეს ქიათურისკენ მიმავალ მატარებელში, საეჭვო პირი, რომელსაც მაუზერის სისტ. რევოლვერი და პატრონები აღმოაჩნდა. მეორე ამისმა ამხანაგმა გაქცევა მოასწრო. დაპატიმრებული აღმოჩნდა ერკეთის საზოგ. (გურია) მცხოვრები ჰ. გ—ძე.

✦ გურიის ზოგიერთ ადგილებში სეტყვა მოსულა და საგრძნობელი ზარალი მოუტანია.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექ. განზრახვა აქვს შემდეგს ადგილებში გახსნას სკოლები: რაბატსკს, ოკრობაკეთს, ტანზოიდს, ახალ-ტაბინსს, წყლომბანს, წყალ-სიმერს და სამ-წყაროს. განზრახვა აქვს გახსნას ამასთანავე რამდენიმე სკოლა ართვინის ოლქშიც. დირექტორმა ამ საქმისთვის გამოითხოვა თანხა. ზოგიერთ ადგილას სკოლის შენობას საეროზო თანხით აგებენ. („იმერეთი“).

## დუშეთი

✦ **წვიმა და სეტყვა.** ამ დღეებში ცხიხის სოფელსა და მის ახლო-მახლო მდებარე ათამდე სოფელში საშინელი წვიმა მოვიდა, რომელსაც მსხვილი სეტყვა მოჰყვა. სეტყვამ და ნიაღვარმა მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა.

**შეცდომის გასწორება.**

„სახ. გაზ.“-ს მე-905 ნომერში (სასამართლოს ქრონიკაში) მოხსენებულია, რომ „ტფილისის ოლქის სასამართლომ „ზაკ. რეჩ“-ის რედაქტორ დ. ა. დუმბაძის და ჟურნალისტის ლევან ყიფიანის საქმე გაარჩია“. უნდა იყოს: „გაირჩა საქმე ჟურნალისტ ლევ. ყიფიანისა, რომელიც იყო სამართალში მიცემული სარკინის გზო მასწავლებლების შესტაკოვისაგან და გაბუნიასაგან, ხოლო დიმ. დუმბაძის საქმე, რომელსაც უჩიოდა აღნიშნული სასწავლებლის ინსპექტორი ვოევოდა, სასამართლომ გადასდო სხვა დროსთვის“.

# დღიური

პასუხი მეგობარს.

„შენმა უკანასკნელმა წერილმა—ორმა თუ სამმა სიტყვამ—დიდი შთაბეჭდილება იქონია. მწერ: სამშობლოში მივდივარო. მერე სადა გაქვს სამშობლო? რა ჰქვიან შენს სამშობლოს დღეს!.. აჰ, ნეტა მართლა სამშობლოში მიდიოდე!.. განაწამები ვითომდა სამშობლოში დავაბრუნეს,—აბა მოდი და ცრემლებს ნუ გადმოაფრქვევ!.. ახლა უკვე სამშობლოში იქნება; სამშობლოში? სადაა სამშობლო, სადაა ჩვენი ივერია, რომელსაც თამარი განაგებდა და სადაც შოთას სიმღერა გაისმოდა?.. სული მიწუხს, გული მიღონდება: წარმომიდგება ის ხანა, როდესაც ჩვენ ევროპიელებზე მაღლა ვიდექით და წარმომიდგენია ისიც, და დღევანდელიც, ხანა დაქვეითებისა, დაცემისა. ნუ თუ ყველაფერი მართლა მიდის და ცვდება? რაც იყო, იმის სახსენებელი და რჩება მარტოოდენ? ან და—ისიც არა, რჩება მხოლოდ დავიწყება სამარადისო, დუმილი, დუმილი წყვდიადისა?

„ერთს რასმე გთხოვ, გთხოვ ძალიან. ვიცი, შენი სულიც შეწუხებულია დღევანდელის დღით, მაგრამ გამაგონე სხვანაირი ხმა, რომ არარაობიდან აღფრთოვანდეს რამეობა. ისეთი რამ გამონახე, რომ იმედი შეხმატკბილებული იყოს და მრავალნი სევდიანნი, დამწუხრებულნი აღადგინო და აღაფრთოვანო. შენში, ვიცი, დიდი ნაღველია, სიმწარე, მაგრამ ეგ არ არის ლაჩრის გლოვა და ზარი; შენ გლოვაში ისმის სიცოცხლის ძალა, მოწოდება მომავლისადმი. და სთქვი სიტყვა მტკიცე, მძლავრი, იმედიანი, გვესაუბრე უფრო მაღალის ხმით ცხოველით, სოგვიწოდე უფრო მხნედ, უფრო მხნედ!..“

ასე მწერდა მეგობარი ამ დღეებში. ესეც ის საყვედურია, სხვაგვარად შეფერადებული, რომელიც ბევრისაგან გამიგონია; ესეც ის სევდიანი, ცრემლიანი კითხვაა, რომელიც დაებადება ყოველს ქართველს, განმცდელს დღევანდელი ვაებისა, ესეც ის წყურვილია, რომელიც სტანჯავს ყოველ ჩვენგანს. ირგვლივ დევნა, შევიწროვება, გულში დამხჩვალი კვნესა, უდროოდ მოკლული აზრი, ჩანგლით დაფლეთილი გრძნობა, შეურაცხყოფილა სინიდისი, ოცნება გამქრალი, იმედი არ—ჩაავხულა—ყველაფერი ეს უთვალავია, დაულეველი; დღეს, გუშინ, ხვალ—აწმყო, წარსული, მომავალი ერთიმეორეს გადაება და სიმწარის ფლასი გადაეფარა ჟამს და მეწამულის ფერით შეიღება სივრცე.

სულს ჰხუთავს ასეთი ყოფა, მოუსვენრად შფოთავს, მთას-კლდეს ასკდება და უნდა გასქრას ბნელი, გაარღვიოს კედლები, გააპოს ზღვა და გადალახოს ულრანი ტყეები. დაეძებს გზას, მოუწოდებს მხსნელს, წინ ისახავს მომავალს, სწყურიან იმედი და თუ კვნესის, ვაებს, გოდებს, სტირის ურემლოდ, თუ ღრიალებს ვით ბავში უმწეო,—ერთს წამსაც არ უარყოფს სიცოცხლეს. თუ წამებული, დაქანცული, ღონემიხდილი წუთიერად სასოს წარიკვეთს, მით უფრო მეორე ჟამს აღფრთოვანებული, გატაცებული, ფრთა გაშლილი აიწევს ზევით, მაღლისკენ, ისევ გაუტეხელი, შეუდრეკელი, მხნე, მოსილი სიამაყით. თუ არის დღე, როცა იგი სდუმს განაბული, უძრავი, მორჩილი ხმაამოუღებლად, მთხოვნელი შებრალებისა, მოწყალებისა, ძუხლმოდრეკით, ფინიასვით ფეხთა მლოკავი,—დაჰკრავს ჟამი და იგი აღიჭურვება შეუპოვრობით, ნებით ძლიერით, შემომქმედით და აღიმართება დაკნინებული ცხოვრების აღსადგენად, ჰრილობათა გასამთელებლად, თავის ვინაობის, პიროვნების გამოსაჩენად!..

ეს არ არის სიკვდილი!

ეს ჩვენი დღევანდელი ბედია, ბედი სატირალი. ესაა ჩვენი ცრემლი, მოთქმა, ესაა ჩვენი გვემანი და ტყვეობანი, ლებნი და კირჩხიბნი, ხოლო ეს არაა სიკვდილი.

სიკვდილი არგანცდაა, არშეგნებაა, არგრძნობაა. სიკვდილი არაა გარეშე, სიკვდილს ვერვინ მოგვავლენს, ვიდრე ჩვენი სული ცხოველია, მგრძნობელი, შეურიგებელი!..

მეგობარო, ეს იყოს ჯერ მოკლე პასუხი შენის და შენთან ყველა ჩვენი გულის განცდისა, სევდისა, სიმწარისა!

**სიტყვა.**

# ზაქ. ფალიაშვილის კონცერტი

28 მაისს ქართველ საზოგადოებას შემთხვევა მიეცა მოესმინა კიდევ ერთი ნაწყვეტი ბ. ზაქ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. ასრულებულ იქმნა 1-ლი სურათი 1-ლი მოქმედებისა, როცა აბესალომ და მისი ვეზირი მურვან, დიდის ამალით, სანადიროდ მიდიან და ერთს დაბურულ ტყეში, წყაროსთან, ძონძებში გახვეულს მშვენიერ ეთერს შეხვდებიან. ამ სცენის შემდეგ დადგეს ისევ მესამე მოქმედება.

პირველი სურათის შესახებ უნდა ვთქვათ იგივე ორიოდე სიტყვა, რაც წინად ვთქვით, როცა ოპერის მესამე მოქმედება მოვისმინეთ. საერთოდ, მუსიკის ხასიათი ქართულია და მსმენელთა ყურს ატკბობს ლამაზი, მომხიბლავი ჰანგები. ნაკლულევანებად ჩაითვლება სიღარიბე, ერთფეროვნება ოპერის ინსტრუმენტაციისა. დაწვრილებითი განხილვა და კრიტიკა ბ. ფალიაშვილის ნაშრომისა სპეციალისტების საქმეა; ჩვენ-კი ვიტყვით, რომ დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი იყო და დიდის სიამოვნებით მოისმინა ლამაზი არიები აბესალომისა (ივ. სარაჯიშვილი) და ეთერისა (ქ-ბ. კოლოტოვა), მშვენიერი და აღმაფრთოვანებელი ხ.ოროები... მესამე მოქმედებაც ახლა უკეთ იყო დადგმული, ვიდრე პირველ კონცერტის დროს. ჯერ ახლა ხელი შეუწყო ანსამბლს იმ გარემოებამ, რომ კომპოზიტორმა და დირიჟორმა მხედველობაში მიიღო ჩვენი თეატრის აკუსტიკა და ორკესტრს ისე ხმაძლიერად არ აკრევინებდა, როგორც 1-ლ კონცერტში. ამის მიზეზით კარგად ისმოდა ხოროებიც, ისმოდა გარკვევით მელოდიები და ორკესტრი აღარ გვაყრუებდა. მეორეც ისაა აღსანიშნავი, რომ ვაჟთა მთავარ როლებს ახლა ქართველები ასრულებდნენ: აბესალომისას—ი. სარაჯიშვილი, მურმანისას—ინაშვილი და ბეღიარ—ეშმაკისას—ვ. ლორთქიფანიძე, რის გამოც უფრო გრძნობითა, გარკვევით და მოხდენილად იქმნა ასრულებული სოლოებიცა და ანსამბლებიც. ამ ხანად ქ-ბ. კოლოტოვაც ბევრად უფრო გაბედულად და კარგად მღეროდა. ასე რომ, საერთოდ, მესამე აქტმა ახლა, როგორცა ვთქვით, უკეთ ჩაიარა.

მესამე განყოფილება შესდგებოდა რამდენისამე სიმღერისაგან (ზაქ. ფალიაშვილის ჰარმონიზაცია და ორკესტრაცია). აქ ყველაზე უფრო საზოგადოებას მოეწონა კვარტეტი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, რომელიც ამსრულებელთ გაამეორებინეს.

საზოგადოდ კონცერტმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, თეატრი ახლაც გაჭედილი იყო და აღტაცებით ეგებებოდა ბ-ნ ფალიაშვილს.

# სამღვდელოება რუსეთში*)

ბ-ნი რუბაკინი თავისს წიგნში უმთავრესად ეხება რუსეთის მაღალ სამღვდელოებას.

1897 წ. აღწერის თანახმად, რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა რიცხვი ამ რიგად იყო დანაწილებული სარწმუნოების მხრით:

| | |
|---|---|
| მართლმადიდებელნი . . | 87.123.604 |
| სტაროობრიადც. და სექტ. | 2.204.596 |
| რომის კათოლიკენი . . . | 11.506.834 |
| ლიუტერანები . . . . | 3.572.653 |
| სხვა ქრისტიანები . . . | 1.377.479 |
| ებრაელნი . . . . . | 5.215.805 |
| მაჰმადიანები . . . . | 13.906.972 |
| ბუდისტები და ლამატნი | 433.863 |
| სხვა არა-ქრისტიანები . | 298.215 |
| სულ . . | 125.610.021 |

როგორც ვხედავთ, აქ მოყვანილ ოფიციალურ ცნობების თანახმად, რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა ორ მესამედზე მეტი მართლმადიდებელ სარწმუნოების მაღიარებელია, ხოლო სტაროობრიადცების და სექტანტების რიცხვი კი ორ მილიონზე ცოტა მეტს უდრის. ამ ცნობებს ბ. რუბაკინი არ ეთანხმება და ამბობს, ეს ციფრები საეჭვოდ მიაჩნიათ არამც თუ მარტო სტაროობრიადცებს, არამედ ყველა ცოტად თუ ბევრად სვინიდისიერ მკვლევარსაო. 1897 წ. საზოგადო აღწერის დროს, თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობისა გამო, სექტანტთა უმეტესობამ ვერ გაბედა თავისი ნამდვილი რწმენა განეცხადებინა, რათა არაფერ ხიფათში არ გაბმულიყოვო.

ჯერ კიდევ მესამოცე წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოანგარიშებით, რუსეთში რვა მილიონზე მეტი რასკოლნიკი ითვლებოდა. მელნიკოვის აზრით, ეს რიცხვიც ნამდვილზე ნაკლები უნდა იყოს. მეოთხმოცე წლებში, იუზოვის გამოანგარიშებით, სტაროობრიადცების და სექტანტების რიცხვი თხუთმეტ მილიონს უდრიდა. პუგავინი კი ამტკიცებს, მათი რიცხვი ოც მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოსო.

დღეს სტაროობრიადცების და სექტანტების რიცხვი რუსი ხალხის ერთ მესამედს მაინც უნდა უდრიდეს. იმ მართულების შესახებ, რომელშიაც მიმდინარეობს რუსეთის მართლმად. ეკკლესიის განვითარება და რაც მას (ეკკლესიას) შემდეგში მოელის, უკეთუ მის წიაღში ან მის გარშემო არაფერი შეიცვალა, — შეგვიძლიან ვიმსჯელოთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი სული შეუერთდა მართლმადიდებლობას და რამდენი გადგა მისგან.

აი რას გვეუბნება ციფრები: მართლმადიდებლობას შეუერთდა 1903 წ. 16728 სული; 1904 წ.—14790; 1905 წ.—11426; 1906 წ.—11406; 1903 წ.—11024. ამ რიგად, მართლმადიდებლობასთან შეერთებულთა რიცხვი თანდათან კლებულობს. ამასთანავე მართლმადიდებლობიდან გამდგართა რიცხვი, 1905 წლის 17 აპრილის მანიფესტის შემდეგ, შეუწყვეტლივ მატულობს. 1907 წლის გასვლამდე მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაზე გადავიდა 171 ათასი სული, მაჰმადიანობაზე—36 ათასი, ლიუტერნობაზე—11 ათასი. ამრიგად, 1905 წლიდან 1907 წლის გასვლამდე მართლ-მადიდებლობას შეერთებია 33.856 სული, ხოლო გამდგარა 218 ათასი სული.

1902 წელს რუსეთის იმპერიაში ითვლებოდა 105.339 მართლმადიდ. მღვდელი, დიაკვანი და მედავითნე; 8.455 ბერი და 42.992 მონაზონი.

დანარჩენ ქრისტიანთა სამღვდელოების რიცხვი 11.333 კაცი და 301 ქალი იყო, ამათში 361 ბერი და 301 მონაზონი.

არა-ქრისტიანელთა სამღვდელოება 25.375-ს უდრიდა.

ამ ცნობების თანახმად, ყოველ 1800 მართლმადიდებელზე ერთი სამღვდელო პირი მოდის; სხვა ქრისტიანთა შორის ერთი სამღვდელო პირი მოდის ყოველ 1461 სულზე, არა-ქრისტიანთა შორის—780 სულზე.

აქ ბ. რუბაკინი აღარაფერს ამბობს სხვა სარწმუნოებათა სამღვდელოების შესახებ, რადგანაც საჭირო ცნობები ხელთ არა ჰქონია, და მართლმად. სამღვდელოებაზე გადადის.

**მართლმად. სამღვდელოება, მისი სიმდიდრე და შემოსავალი.**

ყველაზე უწინარეს უნდა აღვნიშნოთ, რომ სამღვდელოების რიცხვი თანდათან იზრდება, თუმცა ისეთის სისწრაფით კი არა, როგორც მცხოვრებთა რიცხვი. 1897 წ. 1902 წლამდე მღვდელ მოქმედთა რიცხვი 62 ათასიდან 70 ათასზე ავიდა, თუმცა კი ბერების შესახებ უწ. სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიში უფრო ნაკლებ რიცხვს იძლევა, ვიდრე საზოგადო აღწერისა.

1902 წელს ითვლებოდა:

დეკანოზი—2.340

მღვდელი—44.487

დიაკვანი—14.960

მედავითნე—43.552

სულ—105.339.

1908 წლის პირველ იანვრამდე ეს რიცხვი 107 ათასამდე ავიდა, ამათში 48 ათასი მღვდელი იყო.

1902 წელს 15.146 ბერი და 42.992 მონაზონი ითვლებოდა. 1908 წელს კი ბერების რიცხვი 17.583-დე ავიდა, მონაზვნებისა — 52.927. როგორც ვხედავთ, ამ ექვსი წლის განმავლობაში ბერების რიცხვს მოჰმატებია 2.437 სული, მონაზვნებისას—9.935 სული. ბერ-მონაზონთა რიცხვი ალექსანდრე მესამის მეფობის დროს ძალიან გაიზარდა. როგორც იგი განსაკუთრებით მფარველობას უწევდა სამღვდელოებას. ალექსანდრე მესამის მეფობის დრო ალექსანდრე მეორისას რომ შევადაროთ, მაშინ დავინახავთ, რომ ალექსანდრე მეორის დროს ბერ-მონაზონთა რაოდენობა, საშუალო რიცხვით, წელიწადში 330 სულით მატულობდა, ხოლო ალექსანდრე მესამის დროს კი 1234 სულით ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტად.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ სამღვდელოების არსებობის ეკონომიურ მხარეს, იმ მატერიალურ ფესვებს, რომლებიც აერთებენ ამ საზოგადოებრივ წრეს მთელი მხრის ცხოვრების საზოგადო წყობილებასთან.

საყდრებისა და მონასტრების შემოსავალით ერთ უმთავრეს და ამასთანავე ყველაზე უსაცილობელ წყაროს, უეჭველია, მათი მიწათმფლობელობა შეადგენს. ერთნიც და მეორენიც უმთავრესად მიწის მესაკუთრეებს წარმოადგენენ და ამიტომაც მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ. ჯერ საეკკლესიო მამულებზე ვილაპარაკოთ და შემდეგ სამონასტროებზე.

1890 წელს ევროპის რუსეთში სულ 28.769 მართლმად. ეკკლესია იყო, 27652 სოფლად და 1117 ქალაქად. 1855 წლიდან 1902 წლის გასვლამდე 13000 ეკკლესია მომატა, ე. ი., საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 270 საყდარი მოჰმატებია. იმავ 1890 წლის ანგარიშით, საეკკლესიო მიწების რაოდენობა 1.671.198 დესეტინას უდრიდა, 1905 წელს კი ამ მიწების რაოდენობა 1.872.000 დესეტინამდე ავიდა. საყდრებ შორისაც არის მსხვილი და წვრილი მესაკუთრეობა. აი როგორ დანაწილდებიან იგინი მიწის მფლობელობის რაოდენობით:

| | | |
|---|---|---|
| 245 ეკლესიას ჰქონდა | | 250—500 დეს. |
| 50-ს | „ „ | 500—1000 დ. |
| 14-ს | „ „ | 100—1500 დ. |
| 15-ს | „ „ | 1500-ზე მეტი. |

ნ. ლიუბინსკი საეკლესიო მიწებს ჩვეულებრივად აფასებს და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ამ მიწების ფასი 116.195.118 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოსო. ეს მარტო მიწის ფასია, ქარხნებისა და სხვა შენობების გარდა. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ამ მიწებს წელიწადში სამი ან ოთხი მილიონი მანეთი ხალასი მოგება უნდა შემოჰქონდეს.

**ბაგრატ ბეთანელი.**

(დასასრული იქნება)

*) ნ. რუბაკინის წიგნიდან: „Россія въ цифрахъ“.

# უკრაინელების დევნა

დღევანდელი მთავრობა შეუჩერებელის სისასტიკით განაგრძობს უკრაინელთა დევნას და შევიწროვებას. აკრძალულია ახალ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა დაარსება. უკვე არსებულ საზოგადოებათა მოღვაწეობა მეზღუდულია უკიდურესობამდე. ვორონეჟში უკრაინულ სალიტერატურო დრამატიულ საზოგადოებას აუკრძალეს შევჩენკოს საღამოს გამართვა. ოდესაში ქალაქის უფროსმა აკრძალა ლექციის წაკითხვა შევჩენკოს საღამოზე. პოდოლსკში „პროსვიტას“ საზოგადოებას აუკრძალეს წარმოდგენები და ლექციები. ბოლზნში ნება არ დართეს აფიშა უკრაინულად დაებეჭდათ. ეკოდინეცში პოლიცმეისტერმა მოითხოვა, რომ უკრაინელთა დასის აფიშაში სიტყვა „უკრაინული“ შეეცვალათ მცირერუსიულით. ოსიევკაში ნება არ დართეს ისეთი პიესის წარმოდგენა, რომელიც ყველგან ნებადართულია. კიევში აკრძალეს შევჩენკოს საღამო, რომელიც ყოველ წლიწადს იმართებოდა. პოდოლის ერთ სოფელში გლეხის ქალებს აუკრძალეს უკრაინული ცეკვა-სიმღერა. განსაკუთრებით შევიწროვებულია უკრაინული ენა. ს. სამოროდკაში ადგილობრივ ორკლასიან სკოლის მასწავლებელმა აუკრძალა მოსწავლეებს უკრაინულ წიგნების და გაზეთების კითხვა. მეორე სოფელში საერობო სასწავლებლის ზედამხედველმა შუამდგომლობა აღძრა, ვისთანაც ჯერ არს, რომ არ გამოეწეროთ სასკოლო ბიბლიოთეკისათვის წიგნები უკრაინულ ენაზე. პოლტავაში საშუალო სასწავლებლების მოწაფეებს სასტიკად აუკრძალეს შევჩენკოს საღამოზე დასწრება. პრილუკში სახალხო სკოლების ინსპექტორმა აუკრძალა მასწავლებლებს უკრაინულად ელაპარაკონ ერთმანეთს. ხარკოვის გუბერნიის სახალხო ბიბლიოთეკებიდან გამოაძევეს შევჩენკოს საუკეთესო ნაწარმოებნი. ამგვარივე დევნაა საეკლესიო ცხოვრებაშიც. ჩერნიგოვის ეპარქიაში რუსის მღვდლები სასტიკად სდევნიან ყველაფერს, რასაც ოდნავად უკრაინული ხასიათი აქვს. პოდოლის გუბერნიაში ეპისკოპოსმა წელს აკრძალა შევჩენკოს პანაშვიდი. კიევის სასულიერო აკადემიაში რექტორმა აკრძალა აღდგომის სახარების წაკითხვა უკრაინულ ენაზე. კურსკში ამას წინად მრავალი უკრაინელი გაჩხრიკეს და წაიღეს, სხვათა შორის, უკრაინული სახარება და სხვა წიგნები. ს. მაქსიმოვკაში ბოქაულმა მოითხოვა, რომ მომხმარებელთა მაღაზიას არ ჰქონოდა უკრაინული წარწერა. ასეთი მაგალითი უთვალავია

# მუშათა ცხოვრება

✦ გერმანიაში ფრაიენდორფში შეტაკება მოუხდათ გაფიცულთა და გაუფიცავარ მუშებს და ერთმა უკანასკნელთაგანმა მოჰკლა გაფიცული მუშა. მკვლელი დაატუსაღეს. 600 კაცის ბრბომ მოითხოვა მისი განთავისუფლება, საქმეში ჩაერია პოლიცია და რამდენიმე კაცი დასჭრა.

✦ ლენის შეკითხვის გამო მთავრობის წრეში უთანხმოებაა. მთავრობის ზოგიერთა წრეებში თხოულობენ, რომ სათათბიროს შეკითხვას მთავრობამ პასუხი გასცეს მომავალ წელს. კოკოვცევს უნდა, რაც შეიძლება მალე მოხდეს ლენის საქმეების ლიკვიდაცია; ტიმაშოვი კი ყოყმანობს.

✦ 23 მაისს პეტერბურგში გაიმართა საგანგებო კრება ქსოვილების მუშების პროფესიონალურ საზოგადოებისა. სხდომას დაესწრნენ 17 ფაბრიკის წარმომადგენლები. გამოირკვა, რომ ბევრი ფაბრიკის ადმინისტრაციას, თანახმად მუშების მოთხოვნილებისა, დაუდგენია სამუშაო ქირის მომატება პირველ ივნისიდან.

✦ დაიწყო გაფიცვები ხეზე მომუშავეთა. მუშები მოითხოვენ, რომ მოუმატონ შრომის ქირა და არავინ დაისაჯოს გაფიცვისათვის.

✦ ახალი ლესნერის ქარხანაში გაფიცვა ეს მე-33 დღეა გრძელდება. გაფიცულებს ეხმარებიან პეტერბურგის ყველა ფაბრიკის და ქარხნის მუშები.

✦ ვორონინის, ლიუტშის და ჩეშერის ფაბრიკის ადმინისტრაციამ გამოაკრა ინსტრუქცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა აირჩიონ მუშებმა რწმუნებულები საავადმყოფო კასაში. მუშებმა ითხოვეს, რომ არჩევნების მოხდენამდე, მათ წაუკითხონ ლექცია მუშათა დაზღვევის შესახებ.

✦ ვარშავში დაიწყო 12,000 მეჩექმის გაფიცვა, ეკონომიურ ნიადაგზე.

✦ ლოძში დღითი-დღე იზრდება გაფიცვები საქსოვ ფაბრიკებში. გარდა წვრილ ფაბრიკებისა მოთხოვნილებანი წარადგინეს შეიბლერის და ზილბერშტეინის მსხვილ ფაბრიკის მუშებმა. კრუშეს და ენდერის ფაბრიკების ადმინისტრაციამ, რომელმაც წინად ლოკაუტი გამოუცხადა მუშებს, ამ დღეებში უფასო სამკურნალო დახმარება მოუსპო მათ.

✦ ბალტიის ქარხანაში გაფიცვა ისევ გრძელდება. 23 მაისს გაანთავისუფლეს დატუსაღებული მუშა.ი გემების განყოფილებისა. ქარხნის დაკეტვის განცხადებამ უთანხმოება შეიტანა მუშებში დ ზოგიერთებმა, რომლებიც კარგს ქირას იღებენ, მოითხოვეს სახელოსნოების გახსნა. უმრავლესობა მაინც გაფიცვის გაგრძელების მომხრეა.—24 მაისს გათავდა დიუფლინის მექანიკურ ქარხნის მუშების გაფიცვა. ნაწილი მათი მოთხოვნილებისა დააკმაყოფილეს.—გაიფიცნენ პალის მექანიკ. ქარხნის მუშები, მოითხოვეს ზრდილობიანი მოპყრობა და სამუშაო ქირის მომატება.

— გათავდა ანდრეევის და ლოიციანსკის სტამბების მუშების გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა სამს კვირას. არც ერთი მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს.

# ბალკანეთი და საბერძნეთი

**გეშოვის გადადგომა.**

ლონდონიდან იტყობინებიან: ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის გეშოვის გადადგომა იმითაა გამოწვეული, რომ ბულგარეთის სამხედრო წრეები მოქმედების უნარს უწუნებდნენ მას, რადგან გეშოვი დათმობის პოლიტიკას ადგა სერბია-საბერძნეთისა და ბულგარეთის დავაში.

**რუმინიის საქციელი.**

ლონდონის დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებით ამბობენ, რომ რუმინიამ ორჯერ მიმართა ბულგარეთს წინადადებით: სერბიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას გაგიწევ, თუ შესაფერ კომპენსაციას მომცემო.

**მოკავშირეთა უთანხმოება.**

რუსეთის დიპლომატია ოპტიმისტურად უცქერის მოკავშირეთა უთანხმოების საკითხს, თუმცა თვით ბალკანეთის დიპლომატები არ იზიარებენ ასეთ შეხედულებას. ბალკანეთის ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს „რეჩის“ თანამშრომლისათვის:

„ფორმალურად მართლაც არ შეიძლება უარვყოთ, რომ მოკავშირეთა უთანხმოება შესუსტდა, მაგრამ საქმით კი სრულ იმედიანობამდე ჯერ კიდევ შორსაა. საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის დამოკიდებულება ცოტად თუ ბევრად მოგვარდა. ამ საკითხში დიდი ამაგი დასდვა საერთო საქმეს ვენიზელოსისა, ღენ. ივანოვისა და ბულგარეთის დიპლომატის სარაფოვის შეხვედრამ. საგულისხმოა, რომ სარაფოვი, რომელიც საგანგებო დავალებით იყო გაგზავნილი ათინას, მთელი ერთი თვის განმავლობაში ცდილობდა საბერძნეთის მინისტრების ნახვას საქმეზე მოსალაპარაკებლად. სხვა და სხვა საბაბით დიდხანს აგვიანებდნენ ამ შეხვედრას, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც მოხდა. მოლაპარაკებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო: დაადგინეს ნეიტრალური ზოლი მოქიშპეთა ჯარებისათვის, რაც, იმედია, თავიდან აგვაცილებს ახალ შეტაკებათა შესაძლოებას, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდეს დაპყრობილ ადგილების გაყოფვის საკითხი.

უფრო გამოურკვეველია სერბია-ბულგარეთის დამოკიდებულება. თუმცა პირველ მინისტრების შეხვედრამ თითქოს შეამაგრა მოკავშირეთა შერყეული საფუძველი, მაგრამ ნამდვილად კი თვალსაჩინო ვერა მოიტანა რა. დიდი იმედი აქვთ ბალკანეთის პრემიერ-მინისტრების კონფერენციისა, რომელიც ქ. სალონიკში უნდა მოხდეს. კონფერენციის შეკრების დღე ჯერ-ჯერობით დანიშნული არაა. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება დანამდვილებით, რომ იგი უეჭველად შეიკრიბება. მანამდე კიდევ ბევრი საკითხია გამოსარკვევი, ურომლისოდაც ფიქრიც კი არ შეიძლება მინისტრების კონფერენციაზე. მაგ., სერბიას დღემდე არ უარუყვია ის თვალსაზრისი, რომელიც პაშიჩმა განავითარა სკუპჩინაში. უნდა აღვნიშნო, რომ პაშიჩის დეკლარაციამ დიდად შეუშალა ხელი მოკავშირეთა შორის ნორმალურ განწყობილების დამკვიდრებას. ბულგარეთიც არ ამბობს უარს თავის თვალსაზრისზე, ასე რომ, ფაქტიურად თითქმის არაფერი შეცვლილა და წინანდებურად ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთზე. ბალკანეთის თითოეული მოკავშირე, რასაკვირველია, გრძნობს, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვება მათს შეტაკებას; ახალი ომი ახალსავე გართულებას გამოიწვევს, რაც სრულიად გააქარწყლებს საერთო ჰაპაწყვეტით მოპოებულ გამარჯვების ნაყოფს; ამიტომ, საეჭვოა, რომ რომელიმე მხარემ მოინდომოს უთანხმოების იარაღით გადაწყვეტა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ხოლმე, სამწუხაროდ, ისეთი გარემოება, რომელიც ძლიერად გვიკარნახებს უკიდურეს ღონისძიებათა მიღებას. ვიმეორებ, ბალკანეთის კავშირის ბედი და მომავალი სავსებით რუსეთის ხელშია. მან უეჭველ დ უნდა ისარგებლოს იმ უფლებით, რომელიც მოკავშირეთა ხელშეკრულობის ძალით, მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

28 მაისი.

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** ელჩთა თათბირის სხდომა მოხდა. დადგენილება არავითარი ყოფილა.

**ტოკიო.** ხმებია, კალიფორნიის საკითხი გადასწყდება იაპონიის და ამერიკის შეთანხმებითო.

**სტამბოლი.** რადგანაც ზოგიერთ ელჩს არავითარი ინსტრუქცია არ მისვლია, დემობილიზაციის საკითხი არ აღძრულა.

**რომი.** ოფიციალურად უარჰყოფენ გაზეთ „ტან“-ის ცნობას, ვითომც მერი-დელ-ვალს შეუთვლია ალბანეთის ეპისკოპოსებისთვის, ჩრდილო ალბანეთის კათოლიკენი ავსტრიის მფარველობის ქვეშ იქნებიან, ხოლო სამხრეთ ალბანეთისა—იტალიის მფარველობის ქვეშო.

**ლოგრონიო.** (ჩრდილო ესპანია) კუმკრუტში მიტინგის შემდეგ მეფის მომხრეებმა მცხოვრებელთ სროლა აუტეხეს. მოკლეს 7 კაცი, დააპატიმრეს 5 კაცი. ქალაქში დიდი მღელვარებაა.

**პარიზი.** სამუნიციპალიტეტო საბჭო ერთხმად საჭიროდ სთვლის საქალაქო არჩევნებში ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭოს.

**ვენა.** ტისამ მეფეს წარუდგინა ახალ კაბინეტის მინისტრთა სია. ახალი მინისტრები 29 მაისს მიიღებენ ფიცს.

**ბელგრადი.** 27 მაისს მოხდა მინისტრთა საბჭოს კრება. დაესწრო სარდალი პუტნიკი და სოფიელი ელჩი სპალაიკოვიჩი. პუტნიკს განუცხადებია, საომარი მოქმედების დასაწყებად ჯარი უკვე მზად არისო. კრებამ დაადგინა, გადაჭრით მოსთხოვოს პასუხი ბულგარეთს. ამ მოთხოვნას ულტიმატუმის ხასიათი ექნება. კრების შემდეგ პარტიის ლიდერებს პაშიჩმა გააცნო მთავრობის ღონისძიებანი, რის მიღებასაც აპირებს ბულგარეთთან უთანხმოების გამო. პუტნიკი მიიღო მეფემ. სამხედრო წრეები უკმაყოფილონი არიან მთავრობისა: სერბია თვისი აუჩქარებლობით ხელს უწყობს ბულგარეთის ჯარის შემოკრებასაო.

**ვენა.** ალბანეთის დროებითი მთავრობის ბელადი იზმაილ-ქემალი ებაასა „ნეი.-ფრეი-პრესეს“ თანამშრომელს. იზმაილ-ქემალი წინააღმდეგია ალბანეთი საერთაშორისო კომისიის ადმინისტრაციას დაუმორჩილონ. ალბანეთი სერბია-ბულგარეთის ომს ელის და ბულგარეთის გამარჯვება ჰსურსო.

**თეირანი.** პრინცი სალარ-უდ-დოულე გაემართა არდებელის პროვინციაში. ჰგონებენ იგი ზანჯანში ან ქამადანში მივაო. პრინცის შესაპყრობად გაჰგზავნეს ყაზახთა ბრიგადა ზარბაზნებით და ტყვის მფრქვეველით.

**ბუქარესტი.** გაზეთები მოითხოვენ სერბიის, ჩერნოგორიის და საბერძნეთთან კავშირის შეკვრას. გაზეთების აზრით, ასეთი კავშირი ბულგარეთის გულისთქმათა შესუსტებსო.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ბეჭვდითი სიტყვის საქმეთა კომიტეტმა დაიჭირა გაზეთ „ლუჩ“-ის მე-121 ნომერი.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა ჟურნალ „ისტორიჩესკი ვესტნიკის“ რედაქტორი შუბინსკი.

**პეტერბურგი.** ტიმეს საქმე. ჩვენება ჩამოართვეს იმ რესტორანის მოსამსახურეთ, საცა დამნაშავენი დაიარებოდნენ. ჰკითხეს კიდევ რამდენიმე მოწმეს. მოწმემ ტრანზემ სთქვა: გეისმარი დამშვიდებული იყო, დალმატოვი ჰღელავდა და მუდამ კითხულობდა გაზეთებში ტიმეს მოკვლის ამბავს. გეისმარი თავხედი და კადნიერი კაცია, დოლმატოვი ზრდილი და თავაზიანი. სხდომის განახლების შემდეგ გაგრძელდა ჩვენების ჩამორთმევა. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ დამნაშავენი გზა-აბნეულ ცხოვრებას ეწეოდნენ, მუდამ ფულის ძიებაში იყვნენო. ჩვენება ჩამოართვეს დალმატოვის მამას. დარბაზი დიდი დაკვირვებით უსმენდა მას. დამნაშავეებმა თვისი სახე დამალეს. მამა ფრიად აღელვებულად ლაპარაკობდა მან აღნიშნა რა პირობებში ... ობდა შვილის ბავშობა და სამსახურის პირველი ხანი: შვილს დიდი კარიერა მოელოდდა, მაგრამ ქეიფს გაჰყვა და დიდი ვალი დაიდო. ბრალმდებელი შეეკითხა მოწმეს: მამობაზე ხელს იღებთ, თუ არა? მოწმემ უპასუხა: არა, მაგრამ შვილის ვალს ვერ გადავიხდიო, იგი ჩემს სახსარს აღემატებაო. ჩვენება ჩამოართვეს გეისმარის მამიდას. თურმე დამნაშავეს სურვილი ჰქონია მოეწამლა მამიდა და მისი სამაიორატო მამული ხელთ ეგდო. გეისმარის დედა ფრიად აღელვებული აძლევდა ჩვენებას. იგი ამბობდა: დამნაშავე მევარ, რომ შვილს დროით ყური ვერ უგდე და პატარაობიდანვე შრომას არ შევაჩვიეო. ბავშვი არანორმალური ყოფილა თავიდანვე.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემოდ დასახელებულ პატივცემულ პირთ, რომლებმაც ჩვენს ღარიბ უფასო წ გნთსაცავ—სამკითხველოს აღმოუჩინეს დახმარება. დ. ქიათურიდან მივიღეთ დათიკო პავლეს-ძის გოგუაძისგან, მის მიერ მოგროვილი ექვსი მან. და თხუთმეტი შაური (6 მ. 75 კ.).

შემომწირველთა სია: ვანო ზაქარეიშვილმა, ელიზბარ წულაძემ, და პროკოფი ანთიძემ, თითომ—თითო მანეთი. მიხაკო ბესოს-ძემ გოგიბერიძემ, მირიან ანთიძემ, ქ-მა ნინო გიგინეიშვილისამ, და დათიკო ლეჟავამ, თითომ—ათ-ათი შაური. ივანე კოტრიკაძემ, შვიდი შაური. ქ-მა რ. მიქაძისამ ექვსი შაური. ზაქრო ანთიძემ, ვასილ შარაშიძემ, გიორგი ანთიძემ, და იაკინთე ადეიშვილმა თითომ—ხუთ-ხუთი შაური. სერაპიონ გოგიტაძემ ორი შაური. სულ 6 მან. 75 კ. კირილე სიხარულიძისაგან მივიღეთ ქართული წიგნები ღირებული 3 მ. 80 კ. კალისტრატე რამიშვილისაგან წიგნები ღირებული ერთ მანეთად.

ს. აკეთის (გურია) უფასო სამკითხველოს გამგეობის წევრი, ხაზინადარი: **კალენიკე ბერძენიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **სა ჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საჩ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო**, დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საჩ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათევოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **ზ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ბატიაშვილი** (კუკიაში, ნიკოლოზისის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—ყძ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქერ. ლ. ქაფანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**ექიმი** კბილისა **ნინო ოცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირა. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის

**პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კან სა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე.** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ სა. თ. კახეთის ქ., № 6.




Метцль 148544. 1123




# კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად სალსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „**კავკაზის**“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

# მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების



**ხილეული, სამკურნალო და მინერალური წყალი**

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით

**გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**

**„М. ЛАГИДЗЕ“.**

**ქარხნები:** **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411; ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.** 1214

# მუდამ დღე მოგვდის

**ახალ-ახალი იმბანი,** მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქიტკა)

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მალაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

თევზის მრეწველნი **ძმ. ძმველოვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„ბ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

**ნ. შიუკაშვილის** პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.